ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 350

20.12.2018 წელი

ქ. ბათუმი

ერთი მხრივ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ჯემალ გვეტაძის სახით და მეორე მხრივ შპს „ეკონათება", საიდენტიფიკაციო კოდი 445471132, მის: ქ.ბათუმი, ბარათაშვილის 36, მომსახურე ბანკი ს/ს "საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ნ GE16BG0000000563907500, წარმოდგენილი მისი დირექტორის შორენა თავდგირიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

მომწოდებელი ღებულობს ვალდებულებას ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ამა წლის 25 დეკემბრისა შემსყიდველს მიაწოდოს 65 მეტრი ელ.სადენი (3ვს3+2), ერთეულის ფასი 1,90, (CPV **31321210** - დაბალი ძაბვის კაბელი).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 123,50 ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. <u>დაფინანსების წყარო - საკუთარის სახსრები;</u>

3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

3.2 საქონლის მიღება განხორციელდება, ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულებისა და რაოდენობის მითითებით გაფორმებული სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

3.3. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.ბათუმი.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება სასაქონლო ზედნადების შესაბამისად 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს მეურნე რიხარდ გიორგაძე.

6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

6.2. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

6.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე დასტურდება, რომ შემსყიდველის წარმომადგენელს (ჯემალ გვეტაძე) არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი მომწოდებელთან.

7. მხარეთა ხელმოწერები

_____	_____
შემსყიდველი	მიმწოდებელი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 20 დეკემბერი 2018წ.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, მე ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ არ გამაჩნია ინტერესთა კონფლიქტი შპს "ეკონათება"-სთან.

მაუწყებლის მეურნე

რიხარდ გიორგაძე